ბრძანება:**№41. 4125232001**

თარიღი:**20/08/2025**

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 სექტემბრის №№41.4123258001 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” საქართველოს კანონის 52–ე და 63-ე მუხლების და ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 სექტემბრის №№**41. 4123258001** ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თ) საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე ძირითად საქმიანობას შეუთავსოს ანაზღაურებადი სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობა, თუ იგი ხელს არ უშლის სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას;

2.ამოღებულ იქნეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 სექტემბრის №№**41. 4123258001** მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტი;

3. 1.,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 სექტემბრის №№**41. 4123258001** ბრძანების მე-10 მუხლს დაემატოს მე -2 და მე- 3 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ,,ანაზღაურებადი სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობის საათობრივი დრო განისაზღვროს კვირაში არაუმეტეს 10 საათით (ყოველ სამუშაო დღეს - 2 საათი), რისთვისაც საჯარო მოსამსახურე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაცემული ოფიციალური წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება საათობრივი განრიგი.

3. ანაზღაურებად სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება რეგულირდება ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. “

4. ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. № 247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი